

თბილისი 22 ივნისი 1946.

ფასიან კაპ.

ბაზრასი

№ 22

იუმორისტ. ჟურნალი



უებარი საშუალება საქართველოს ტერიტორიის დასაცავად და მის გასანაცხიერებლად.

კრიტიკული შენიშვნები.

(გაგრძელება. იხ. „მათრა“ № 1.)

II.

ერთი უდიდესი ღირსება პროვინციის პოეზიისა, ქალაქის პოეზიასთან შედარებით, ის არის რომ იქ კუქს და საზოგადოთ კუქს საკითხს ნაკლები ადგილი აქვს დათმობილა. პროვინციელი პოეტი თითქმის ყველა ადვალსტია და ნაკლებათ აინტერესებს სინამდვილე, რეალური ცხოვრება. თუ ქალაქის ცხოვრება ვიწრო ეკონომიურ მუხრუქებშია მოქცეული და აქაური პოეტებიც ამ ცხოვრების გავლენის ქვეშ არიან და გარდა ერთი ორისა ამ ქვეყანას ვერ გასცილებიან და ზეცას ვერ მისწდომიან, სამაგიეროდ სულ სხვაა ლალ ბუნების შემყურე, თავისუფლად მონაგარდე პროვინციელი პოეტი, ყოველი ფეხის გადადგმა, ყოველი თვალის გადავლება, ყოველი ხმაურობა, ყოველი სულდგმული მის პოეტურ ტვინს უღიტიანებს და ლექსის თხზვის ხასიათზე მოჰყავს. მაგალითისთვის შორს არ წავალთ. ვსთქვათ ზაფხულის პაპანაქება დღეა, ჩეროში ხის ძირს ზის პროვინციელი პოეტი, გულ გადადელილი თვალებ დაქუცტილი უგრძობლად გაჰყურებს ცის სივრცეში, ხან დაამთქნარებს, ხან თავს მოიქექს. არავინ იცის რაიმე აზრი ტრიალებს ამ დროს მის თავში თუ არა. ვსთქვათ ამ დროს საიდგანდაც გამოძვრა ქრელი კოხტა ქათამი, სიციხისაგან პირი დაუღლია; თვალებს აქეთ-იქით აკეცებს, რალაცას ეძებს, რას თვითონაც არ იცის. ქათამი იწყებს საუცხოვო კაცანს. ჩაეწვეთება თუ არა პოეტს ეს ციური ხმა, ის საშინელ დღელვას იწყებს, მის თავში დიდი აურ-ზაური იწყება, მისი ოცნება ფრთებს ისხამს და პოეტიც ანთხვეს ლექსებს, მისი ოცნება შორს მიდის, ის იპრყრობს მთელ დედამიწას მთელ სამყაროს. ასეთივე გავლენას ახდენს პროვინციელ პოეტზე ძროხის ნაზი ბლავილი, ვირის ყროყინი, ცხენის კიხინი და სხვა. მართალია რეა-

ლურ საგნებს მათზე გავლენა აქვს, მაგრამ ამ გავლენის მეოხებით ისინი უმთავრესად განყენებულ საგნებს ეხებიან. მაგრამ დიდი ხანი არ არის რაც პროვინციის პოეზიაში თავი იჩინა და ნელ ნელა ფეხს იკიდებს რეალური მიმართულება. გაჩნდა თითო ოროლა რეალისტი პოეტი და თავიანთი რეალობა გარდა პოეზიისა პრაქტიკული ცხოვრებითაც დაამტკიცეს. პირველი ადგილი ამ რეალურ პოეტებში ღირსეულად უნდა ვარგუნოთ პოეტ გუცას, რომელიც ამ მიმართულების პოეტთა მამათ-მთავრად იქნა აღიარებული და მიმართულებითაც შესაფერი სახელი ეწოდა: „გუცისში“. რეალურ პოეტებში პირველი რეალური ლექსი შეთხზა „გუცისტმა“ ანდრია ბურხლაძემ. აი ნიმუში მისი რეალური პოეზიისა: მიყვარს, მიყვარს გაგიყვებით კუქი საქმლით გაუენილი, პოეტური აზრი, გრძობა, ხის წვერებზე აფრენილი. აი ეს ერთი ტაევი ბურხლაძის გრძელ პოეტიდან ამოგლეჯილი საკმარისად ახასიათებს თუ რაგვარ პოეტთან გვაქვს საქმე. ბ-ნი ბურხლაძე ამ რამდენიმე სიტყვაში ნათლად ხატავს მთელ თავის სულის კვეთებას. ეს ნამდვილი რეალისტი „გუცისტია“, ის ეტრფის კუქს, საქმელს, მისი პოეტური აღმაფრენა შორს ცის სიღრმეში არ ეპოტინება, ის რეალურ საგანზე, ხის კენწეროზე არის წამომჯდარი. ქეშმარიტად ბ-ნი ბურხლაძე პროვინციელ პოეტთა შორის პირველი „გუცისტ-რეალისტია“ და რეალურ პოეზიის მესვეურად უნდა აღვიაროთ. ეხლა განვიხილოთ სიტყვა სიტყვით მთელი ლექსი და ის დიდი აზრი, რომელიც ამ სიტყვებში არის ჩაქსოვილი „მიყვარს“. აი ამ სიტყვით იწყებს ბ-ნი ბურხლაძე თავის ლექსს. ეს ერთი ზნე ყველა ქართველ პოეტს სჭირს ან სიყვარულით, ან ქეიფით და ან ჩხუბით უნდა და-

იწყოს ლექსის წერა. ყოველი ქართველი პოეტი რა მიმართულებისა უნდა იყოს პირველად, როცა პოეტური ქენჯნა იპყრობს მის ორგანიზმს, სიყვარულზე იწყებს მღერას პოეტს სიყვარულის ცეცხლი აბრობს და რამდენიმე წლის განმავლობაში მისი ტყვე ხდება. პოეტ ანთხვეს ლექსებს, ქებათა-ქებას ხამს საყვარელი არსების თითებს ხელებს, ფეხს და მის ფრჩხილებს და ამ ფეხზე წამოგებულ კოხტა ტუტებს. და ეს ლექსთა ნიაღვრე ურუნალ-გაზეთებში იბეჭდებმ. მხრით ქართველი პოეტი უზრუნვეყოფილია. ვსთქვათ პოეტს თავსატრფო შორს ჰყავს, არ შეუძლო წერილი მიაწვდინოს ან სიშორს ან სხვა რამ მიზნის გამო (ხშირად მოხდება რომ სატრფოს ბარათს სხვა მიმართულებას ღებულობს და სხვას უფარდება ხელში. ასეთი გრემოება ფრიალ სახიფათოა პოეტისთვის. ადვილი მოსადლოდნელ ამ „სხვამ“ პასუხის მაგიერ აზვითებულ პოეტს გვერდები დაუწლოს). ამიტომ პოეტს ერთი ფრიალადილი გზა დარჩენია დაბეჭდ თავის ლექსი-ბარათი გაზეთში. სატრფო გაზეთს კითხულობს და ფრიალ კმაყოფილი რჩება. საზოგადოებაც მადლიერია პოეტის, რომ ასეთი ლექსი შეთხზა და ის კი იცის თუ ის ბარათია და არა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ლექსი. ჩვენებურ დროის პოეტთა სატრფიალო საგანი უმთავრესად ლექსები არიან და მათი ლექსები მხრით არის მიმართული. სიმართლედ უნდა ვსთქვათ ეს საკითხი დიდი ხანია საეხებით გააშუქა ს. ქვარიანთან თავის ლექსებში დაწვრილები აგვიწერა არა თუ მარტო ქალი როგორც სატრფიალო საგნის აგებულება, არამედ სუნიც, რომელიც ქალის სქელს აქვს. ქეშმარიტად ამ დიად საკითხში პირველი ადგილი ამ პოეტს უნდა მივანიჭოთ. ჩავეყვთ ქვევით და განვიხილო რას ამბობს პოეტი „ბურხლაძე: ქი საქმლით გატენილი“.

აი ის ქვა-კუთხედი, რომელზე-
დაც დამყარებულია „რეალისტ გუ-
ციხტა“ მიმართულება. ეს ისეთი
რთული საკითხია, რომ დრო და
ადგილი ნებას არ გვაძლევს აქვე
გავარჩიოთ. ამიტომ გადავდეთ შე-
მდეგი ნომრისთვის, სადაც განხი-
ლული იქნება „საქპლით გატენილი
კუჭი“ და ის დიადი ცვლილება,
რომელიც ასეთმა კუჭმა მოახდინა
ზოგიერთ პოეტთა ცხოვრებაში.

ირეთელი.

(შემდეგი იქნება)

მანძანს.

დიდი, პატარა, ნაწილი
ერთად რბის, როგორც ქარია,
უსულო საგანთ თანხმობა
სამო, სანეტარია.

ასე შეწყობით ერთიან,
როგორ მოძრაობს ყოველი,
მინდა გავდილო ნიმუში,
შენ სანახავათ მოველი.

შეუპოვარი დღე და ღამ
დარბიხარ, გაგაქვს გრილი,
მახინცივებს, იმედს მიღვიძებს,
შენი თანასწორ ტრიალი...

გოგია.

კურიოზები.

(ქართველ სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე)
(დასასრული, იხ. „მათრახი“ № 21.)

**მოქმედება პირველი და უკანასკნ-
ელი.**

(მთელი კლუბი დააქუხეს
დაავიწყდათ ბევრი რამე,
და ყრილობა გააგრძელეს
შვიდი დღე და შვიდი ღამე).

უკანასკნელი დღე.

თავმჯდომარე.

ორატორთა სიას ვხუროვ
ჩაეწერა ოცდა ორი,
კათედრაზე გამობრძანდით,
ძმანო მოსე და გრიგორი.

მოსე. (სწრაფად მაღის კათედრისკენ)
მე მხატვარი... კათედრაზე
წამოვჯდები როგორც ქორი,
როცა ყბები მოკელდება
სიტყვის იტყვის ძმა გრიგორი.

გრიგორი.

(გაღაფლებს გზაში და გაჩქერებს).

შესდექ! ეხლავ შენს ადგილზე
ისევ დაჯექ ძმაო ჩემო,
თავხელდას ვერ შეგარჩენ
იქნებ კარგა მაგრა გცემო.
მე უფროსი შენ უმცროსი
სიტყვა არის პირველ ჩემი,
შენ იქ დაჯექ წაიკითხე
გინდ „სახალხო გინდა“ თემი“.

მოსე. (ძლიერ დაღრუბული ჩამოდის
კათედრიდან და მაღის თავის ადგილის-
კენ) მე მხატვარი... თქვენ მხატვარი...
(დაფდებს).

თავმჯდომარე.

აბა გრიგორი გიცდით დაიწყეთ,
მხოლოდ მოკლედ სთქვით არ დაგა-
ვიწყდეთ.

გრიგორი.

ბევრ ლაპარაკს არ დავიწყებ
სიტყვას ვიტყვი მხოლოდ ორსა,
ჯერ სალამი, გამარჯვება
თავმჯდომარე — დირექტორსა.
(თავმჯდომარე თავს უგრავს, ადის კა-
თედრაზე და სუთმეტ წუთს ახველებს.
მერე ძლიერ მოუსვენრობა ეტუთა. სალ-
ხა უფრ დაჩქეპტილი ელის სიტყვას).

თავმჯდომარე.

აბა გრიგორი დაიწყე მღე
თორემ ლოდონში სულ დავიღალე.

გრიგორი. იყო და არა იყო რა
არა იყო რა, იყო რა,
ბებიას ჰყავდა პატარა
ქროხა ნიშა და ნიკორა.

თავმჯდომარე (წვეტიანად).

თქვენმა ღვიძლმა ძმამო მოსეკ
წინეთ გვითხრა ეგ ზღაპარი,
თქვენ სხვა რამ სთქვით, სხვა გვიამბეთ
ამა კრების შესადაო.

მოსე (ადგილიდან).

მე მხატვარი... თქვენ მხატვარი...

გრიგორი.

მე ტენიკი .. ის მხატვარი,
თოიძეა ჩვენი გვარი,
ის მხატვარი... მე ტენიკი,
ორივეს გვაქვს ყბა მაგარი.

მოსე (ადგილიდან).

მე მხატვარი... ის ტენიკი,
მე მოსე და ის გრიგორი.

თავმჯდომარე.

გრიგორ! რატომ დაგავიწყდათ
სიტყვა უნდა გითქვით ორი.

გრიგორი. ამ საათში მოგახსენებთ:

იყო რა არა იყო რა,
არა იყო რა იყო რა
პატარა ჩიტი ჩიორა.

თავმჯდომარე (გულ-მოსუფი).

სიტყვას გართმევთ არ გვცალიან
ზღაპრებისა მოსასმენათ,
თქვენ დაბრძანდით მოსე მოვა
მთელი კრების მოსალხენად.

მოსე (საჩქაროდ გამოდის და გზაში
დაეტაკება გრიგორის და წაიხსებუბენ).
შენ ტენიკი.

გრიგორი. შენ მხატვარი,

ხმები. ამოვარდა თქვენი გვარი.

მოსე (წამოჯდება კათედრაზე).

მე მხატვარი... თქვენ მხატვარი,
არ დამტოვოთ გულდამწვარი,
უკანასკნელ სიტყვას ვიტყვი
ქოისმინეთ არ თქვათ ვარი.

(საზოგადოება ძლიერ აღელვებულია. მხატ-
ვარს თავის ალაგზე დასვამენ. შემდეგ კა-
თედრას მოაჯდება ხან ალიოშა, ხან თომა,
ხან გიორგი და მთელ დარბაზში ქუხილი
გაისმის. ოთხ საათზე კრება იხურება და
ყველანი ბაღში მიდიან სადაც სურათს იღე-
ბენ. კრების წვერებთან ე-თად, სურათი გა-
დილო მრავალმა გამგელ-გამომგელმა,
რომლებსაც არც კი გაეგო რის შესახებ იყო
ყრილობა.

დამსწრე.

ქუთაისის რამე-რუმე.

„ევდოშვილის სალამო,
გახდა მისთვის საამო“.

ტყვილად არ იძახიან დასელების
მოწინააღმდეგენი, რომ დასელები
დიდი პოლიტიკის ხალხიაო. აბა მი-
თხარით ვის შეეძლო თუ არ დასე-
ლებს ამგვარი პოლიტიკის გატარება:
სალამო უნდა გამართულიყო ევდო-
შვილის სასარგებლოდ და რასაკვირ-
ველია მეტი ქანქარი იყო საქირო,
შოვნა კი ძნელი იყო, რადგანაც
მესამე დასელების მიმდევართ კარ-
გად მოგახსენებათ ჯერ ისედაც „ქან-
ქარზე“ ნაკლებად არიან და თანაც
ყოველთვის თეატრსა და სალამოებს
ეგენი ესწრებიან. იფიქრეს და ბევ-
რი ფიქრის შემდეგ, რომ დახარ-
ბოდან თავიანთ ძველ ნაამხანაგარს
გამოსებნენ შემდეგი საშუალება:

987
13 786

გაუცხადეს ბოიკოტი ევლოშვილს, გავარდა ხმა ბოიკოტისა და დაფაცურდენ „გამამულიშვილები“ ისე შერბოდენ ოჯახებში, და დაწესებულებებში გეგონებოდა: ცნობილ გოგია ზვიადაძის რაზმია და ბურჟუებს იტაცებენო. შეშინებულნი დაფრთხნენ, მაგრამ როცა დარწმუნდენ რომ „გამამულიშვილებულის“ სასარგებლოთ ბილეთებს აწვდიდენ, ესენიც ახმაურდენ—როგორ თუ ბოიკოტს უცხადებენ ჩვენ „გამამულიშვილსო“ და სულ „ლიტერნი“ ლოცები იყიდეს. თეატრი სულ გაიქედა. როგორც ასტრახანის ტარანი ისე ელაგა ხალხი ერთი-მეორეზე. როცა ვაკვირდებოდი ამ სცენას „არტემა აფიშორმა“ მითხრა:—ვა, გეთაყვა რასა ვხედავ ამასა, დღეს ისისთანა ხალხსა ვხედავ რომ ვგონებ ამ ათ წელში ვარდა რუსული წარმოდგენებისა ერთხელაც არ შემოუხედნია თეატრში, თორემ შემოსვლას ვილა სჩიოდაო.

ვინ არ გინდა რომ არ იყო, ქუთაისის „არისტოკრატია“, „არისტოკრატები“, „დეკოლტეითი“, „ფენეტრ დანფერის“ და ტანგოს ტანსაცმელით. სცენაზე ამ დიდებულ გვამთ უზღვრდა ჩვენი ახლად „გამამულიშვილებული“ იროდიონი. (რა ქნას კუქმა შეაწუხა, თორემ არც ასე არ მოიქცეოდა, ყველამ იცის: „ყვავს რა ჰქონდა, კაქკაქს გაქონდაო“. დასელებს რა აქვთ, რა ჰქონდათ, რომ ევლოშვილისთვის მიეცათ) და კარგადაც ჩაატარა თავისი სიმღერა:

წინ-წინ გასწით,
თავი ასწით
ღვინო ვკლურქოთ
ღიღი ყანწით.

ხმალ-ხანჯალი
მტერს გულს დავსცეთ,
და სამშობლო
არვის მივცეთ.

გვეყო აწ ეს
მოთმინება,
ეყოთ მუშებს
მოლხინება,

ისევ თქვენვე
გაიხარეთ,
თქვენ — მუშებო —
ქელი ხარეთ.

ამის შემდეგ სცენაზე გამოდის „პოეტი გუცა“, მოწაფის ქულით

თავზე, წითელი ბოლოკებათ ხელში და ზღერის:

ვენაცვალე მაღალ სფეროს
იმან მომცა „სტიპენდია“,
თუმც არ ვსწავლობ მე სკოლაში,
მაგრამ არ მაქვს მის დარდია.



ს. სუფსაში გლეხების ვარჯიშობა ი. გურიელის მოურავის ყანაში.

სიმღერა მოურავისა.

ღროს შესაფერ მოურავსა
ვერსად ნახავთ ჩემისთანას,
ასოც მუშას, უსასყიდლოდ
ვამუშავებ ამ ჩემს ყანას.

ვინც არ დაემორჩილება
ჩემს „კანონებს“ და ჩემს ძალას
თვის ყანიდანც გადავდენი
და წინ-წინ ავიღებ ღალას.

ტანა.

ფულეები ხომ მუქთად მომდის და ვეჭიფობ მუღამ ლამეს, ასეთ „მამულიშვილობით“ მეც შევიძენ ცოტა რამეს.

მე მიდგია თქვენგნით სული მისთვისა ვარ თქვენი მონა, ვენაცვალე მე ჩემს „მუზას“ თქვენი თავი მოზაგონა.


თორემ ჩემი გუც-ბაკობა თანაც ჩემი მამაცობა ყველა დამეკარგებოდა სხვაგან გადიბარგებოდა.

ბოლოს მოედო თეატრს ცნობა, რომ იმერეთის ეფისკოპოსი გიორგი ლოცვა-კურთხევას უგზავნის ევლო-

შვილსო და თანაც ორმოცდა აათს მანათსოლოო.

ყოველივე ამ დღის დიდებული ზეიმი გამოიწვია დასელების პოლიტიკამ. არ ამხელს ევლოშვილი აშკარად, თორემ გულში ბევრს ლოცავს დასელებს.

ხვასტუნოვი.



პასუხის პასუხი კალიგრატი ნიკოლაინს „პრინცი ალისუბანსკის“.

დიდო ვეჭილო, „გამოქექილო“, გადავიკითხე თქვენი პასუხი, რასაც ველოდი არც ის გამოდგა რაზე დაგჭირდა ეს რახა-რუხი...

თქვენ შემომწამეთ ვითომ ოდესმე თქვენი სასახლის ვიყავ მორჩილი, ზურგზე მაჯექით ბეკა ვირივით არ გამებედა სადმე ფორჩილი.

ამას ამტკიცებთ მხოლოდ იმიით, რომ მე მცოდნია ეგ შენი ბეკა ვერ დამამტკიცებთ, ნუ გაირჯებით ტყვილა ასტყებთ ეფეების რეკა.

ჯერ ერთი კიდევ, რომ ვყოფილიყავ

თქვენი სასახლის მონა-მსახური, ბევრად სჯობია გლეხების ცარცვას პატიოსანი სხვის სამსახური.

მაგრამ მე თქვენი მოსამსახურე, საბედნიეროდ არა ვყოფილვარ,

თქვენ ვინც გგონიათ ჩემო კალიგრატი მართალი გითხრა მე ის როდი ვარ.

თუ იმას ჰფიქრობ, როგორ გავიგე დიდო ვეჭილო თქვენი „გრაფობა“, ეს ცხონებულმა მამამ გადმომცა და მეც დავიწყე ბიოგრაფობა.

მასთან ვასრულებ პირწყლიან თხოვნას სწორეთ ჩავაგდეთ ლატარიაში,

„იმერეთს“ ერგეთ გასასაღებლათ ზედრიერი ხართ „პრინცო“ ამაში.

მიმინო მწვეარ და მეძებრები ერგო იასა—(პირსა ლიასა).

ეგ შენი ვირი თავისი კუღით „გუცა პოეტსა“ და მის წილსა.

რომ ლატარია უტყუარ იყო ამას ხედავდა გრიგოლი „ლალი“ (კუკუით რომ არის სავესბით სალი და რომ ატყვია „ჩაიკას“ დალი.

ხვასტუნოვი.

პროფინციელი სცენის-მოყვარენი

სცენა 1 მოქმედებათ.

(გუძღენი ჭიათურის სცენის მოყვარეებს).

მომქმედნი პირნი:

ვაზბანგ ცხვირადე—სტუდენტი. მაშიო არშიყაძისა.

ვასილ რევისორი.

დიმიტრი მშვიდობაძე.

იასონ ტიკტორაშვილი.

კოლია აშპარტაენიძე—სასამართლოს ჩინოვნიკი.

იოსებ ცრუაძე.

პორფილე—თეატრის სტორჟი.

ბოკაული და ორი სტრანეიკი.

სცენა.

დეკორაცია მოხსნილი, რამოდენიმე სკამი, აქა-იქ ძველი სავარძლები. სცენა დაუგველია, უკანა კედელი არა სდგას და მოხანს დეკორაციების ასაწევი თოკები, სხვა-და-სხვა დეკორაციების ნაწილები, „ატკოსები“, დახატული ბუჩქები, ჩაქურები, დიდი ხის კოლოფი ლურსმებისათვის; თავდაყირა აყუღებული დახატული ფეხი, დიდი რგვალი სტალი, მეორე პატარა ზედ დადებული, ძველ მიყრილ დეკორაციებზე რომელიმე პიესის აფიშა გაკრული და სხვა.

I.

პორფილე. (ფარდას ახდას დრას სცენაზე და დეკორაციის დასამაგრებელ „ატკოსებს“ ასწორებს, ზუსსა).

ვასილ. (შემოდის დაქანცული, ქუდს მოახდას და სტოლთან დაუდგება). ეხ.. ამისთანა სიცოცხლესაც რა უთხრა! მთელი დღე დავრბივარ, დავძრწივარ და მაინც საქმე სასურველად ვერ მოვაგვარე. აგერ ორი კვირაა დავეხეტები, მინდა ერთი წარმოდგენა გავმართო, და ვერ მომიხერხებია!.. ხან ერთ სცენის მოყვარეს უნდა

ვეხვეწო, ხან მეორეს. ხან მესამეს, და ასე ამრიგათ, ვეხვეწები, ე ბიჭო მომეხმარეთ, გავმართოთ წარმოდგენა, ხელი შეუწყით ხელოვნების განვითარებას რამდენადაც შეგვიძლიან-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ერთი ალთას მირბის და მეორე. ბალთას! არ იქნა თავი ვერ მოუყარე. დღეისთვის რეპეტიცია დავნიშნე, შემპირდნენ მოვალთო და არ ვიცი ვნახოთ რა იქნება. (ზორფილეს) მოიწი ახლოს, პორფილე, სანამ შეიკრიბებიან ცოტა ვილაპარაკოთ.

პორფილე. ვინ უნდა შეიკრიფოს ბატონო?

ვასილ. ვინ და სცენის მოყვარეები. დღეს რეპეტიცია არის დანიშნული.

პორფილე. კი, რასაკვირველია შეიკრიბებიან.

ვასილ. არა ისინი დამპირდნენ დღეს უსათუოდ მოვალთო.

პორფილე. იმე, რა უყით რომ დაგპირდნენ! საქმე დაპირება კი არ არის, ასრულებება, ერთხელ სულთახიც ქე დაპირდა თათრებს რაცხა კონტასტუციოა, მარა ქე ააპუტა უცებ.

ვასილ. არა მგონია რომ დღეს კიდევ მომატყუილონ.

პორფილე. (ილიმება) არა, ბატონო, ტყუილი იმედი გაქვს. შეიძლება ორი კაცი მოვიდეს და ორით ხომ ვერ გაპართავ წარმოდგენას?

ვასილ. ორი კაცი თუ მოვიდა მესამე მე და მეოთხეც შენ მოგვეხმარე, შე კაი კაცო, ამდენი ხანია აქ უყურებ მოთამაშეებს და რაღაც ერთ როლს ვერ ითამაშებ?

პორფილე. იცოცხლე მე ვითამაშო, მარა ოთხი კაცით რა პიესა უნდა ვითამაშოთ?

ვასილ. რა ვითამაშოთ და ოთხი იმერელი! ხომ გიყურებია ამ პიესისთვის?

პორფილე. კი მიყურებია მგონი, მარა რაცხა აღარ მაგონდება.

ვასილ. შე კაცო სტრიფონი რომ არის, მონადირე, როგორ არ გახსოვს!

პორფილე. იმე, აგერ სვანეთის ტყიდან რომ მოდის, ერთი ლუღით სამჯერ რომ ბრიგა! მიყურებია, კი ბატონო კი, რაფა არა!

ვასილ. ჰო და ითამაშე! რაც მეტ ტყუილს იტყვი უფრო კარგია.

პორფილე. ტყუილზეა საქმე ბატონო!? იცოცხლე იგი მე არ შემიშალოს! ისთე დავაყარო რომ. მარა იქინე ვინ იქნება ბატონო? (უჩვენებს სუფლიორის პუტკაზე).

ვასილ. იმის ჯავრი ნუ გაქვს, იქ ისეთი სუფლიორი იქნება, რომ როგორც ზარბაზანი ისე იქექებს.

პორფილე. კი დაგემართოს მარა, რომ ვიცოდე ვინაა კაი კი იქნება.

ვასილ. ვინ იქნება და იოსებ ცრუაძე, ხომ იცი რომ კარგათ კითხულობს.

პორფილე. იმე! რომ კითხულობს აქანე უნდა წეიკითხოს, თვარა იმან რომ მამამის წოლუკითხოს რაფა, მე აქანე ტელელრაფით გევიგონებ თუ?

ვასილ. როგორ თუ მამა მის? ის აი აქ წაიკითხავს ბუტკაში.

პორფილე. რას მელაპარაკები, ბატონო, მის იმედზე ღმერთმა ჩემი მტერი დააყენა! იცოცხლე პრტყელი ტყუილები იმან იცოდეს. შეპირება კი იცის მარა კაი გაცურებაც იცის.

ვასილ. არა მაგას რათ ამბობ, შეიძლება ხან-და-ხან მოგვატყუილოს, მაგრამ იმანაც დრო იცის.

პორფილე. რაის დრო, ბატონო! იმაზენ უკეთესი დროი იქნებოდა, რომე დიდი და პატარა, ქალი და კაცი უქმობდა და დღესასწაულობდა აკაის უბილეს და მაგი კი რაქაში ქეიფობდა. თქვენ არ იყავით. რომ შეგიდგათ წრიალი ვინდა ისუფლიოროსო?! ასთე გიქნათ აპა, შეგპირდათ და წარმოდგენის დამეს რაქიდან სუფლიორობდა.

ვასილი. ეგ რა უყით, იქნება საქმე ჰქონდა რამე.

პორფილე. იმე საქმე! საქმე ყველას ქე აქვს. ვინცხას არა აქვს და უსაქმოა იგი საფლავშია. რომ შეგპირდებათ უნდა აასრულოს კიდევ.

ვასილი. კარგი, პორფილე, წადი შენი ქირიმე, ნახე ზაზარში იქნებიან

სადმე და დაუძახე. უთხარი რეპეტიციასზე გიციდით-თქო.

პორფილე. კი ბატონო, კი წავალ... (შუბლიკას) მონახე თვარა შორს მომიწივეს ძებნა, აგერ იქნებიან პაღვალში ყველზე (კაღის).

გოგია.

(შემდეგი იქნება).

გურული სცენა

ფეიზო და მაგდანა.

ფეიზო. გამარჯობა დაიავ, რაქენი მომილოცავს, ყაქი დაგიზავდაო, ღმერთმა და ბუნებამ ყოლიკაცს დუ-უზაოს, ვაი ჩემს დღეს თვარა.

მაგდანა. მადლობელი ვარ გულო მარა შენი ყაქის წახთენამ ჩემი ოთხივე შვილები და ერთი კაკალი ქმარი ნუ მომიკეტება ჩემი გული მომიქეკა. ვისი კეკალი იყო იგი ამოგდებულთ?

ფეიზო. ოი, კეკლიანი და სანეზურე არ გაგნებულოყოს მის ბარაზე აფერი, ღანჩუთის ვაქრები კას მეიტანს რამეს? გაკავდა იგენის ძარღვები, გუჟარა მათი ნაფიქრები იგენს უნელაო, ფეიქრავდი ერთ ნახალუხევს კაცს ვახვედრებ, ციცას ერთ შლაპკას რაცხა ტანგაოა თუ რაცხა მათი ბენდელაი იმას უყიდი მეთქი, ერთი ნაკაბევი ეგება მეც მომწოდა, მარა ჯვარი აქანაი და ისე აქოთდა ყოლიფერი ბახარამოც ვერ მოგვარჩენს მგონია. არ მობრუნებულოყოს ვინცხამ მე იგი მომყიდა.

მაგდანა. არა იმან გამაყერყერა ქალი აი გასაფუშავი მოსხო ვაქრები რომაა ტყუილაი დაზოზინებენ დამცდარ ყაქსავით, თვარა მომყიდევო ტყუილაი არ შეგეპაიჯებიან. მე ლაზარასთან დავტეი ღმერთმა სიკეთე მისცეს ამ ფასზე არ დაგიკლებ და თუ ეიწია აწვეულში გაგისტორღებო.

ფეიზო. არც ივანე ყიდულობს?

მაგდანა. ივანეს ვინ გულენტყუნებს ეტოფანეს დაზოთვას გლოობს, მე სავები მაკვირვებს თვარა.

ფეიზო. ვაი დასურ ღმერთმა კაი

გაგახსენოს, ვინ დაზოთა ნეტაი აი გასახუქავი?

მაგდანა. რავიცი გულო, საცოდინარი შეეშალა იმას მისი გულიზა მთელი სოფელი სამი დღეი აყურ-ყუტეს კანცელარიაზე. ცხვირი რომ დაღმა აქ ყოლიკაცი მისი მტერი ყოფილა, აქეთ აცანა აკეთის გზაიო, აქეთ უჩენიკებო, აქეთ სხვა-და-სხვა ნარი ქალებიო და ახლა ყაძახო შენ მონახევო, აგია სამართალი?

ფეიზო. აბა რაი დაო, ცხენს ვერ შესტვენ და უნაგირს ამტვრევენ, დასურ ყოლიკაცი ჩივა ხუცესი კი არა ეშმაკის წადებულოაო, სათნოებას ქადაგებდა და შოფოს თესავდაო. არა, ვითამ შვალამეზე მლოცველ კაცს რა აძუნძულებდა შუკა-შუკა. ნეტაი მისი მძა ბიქუბი რაფერ გუნებაზეა.

მაგდანა. რავიცი, ყველას ჯარხანაში გადუჟარია, ნეტაი ყოველ-დღე არ წვიმდეს და ყანები არ ამიეგდო, მშვიდობით.

ფეიზო. აბა რაი გულო, მშვიდობა მოგცეს ბუნებამ.

ცხვირ საკრავი.

ხმა დაზა-სოფლებიდან

ღ. ყვირილა. „ლახტი“-ს მეთუთხმეტე ნონერში ნიკო-ბერის და ამხ. წერილი ყვირილიდან სრულიად სიმართლეს მოკლებულია. ბ-ნ ილია მალ-ძის კლუბში ბანქოს არ თამაშობენ.—იქ თამაშობენ მხოლოდ ტომბოლოს, ე. ი. სიკინქილას. ბანქოს სათამაშო კლუბი კი არსებობს აფთიაქის მაღაზიაში ბიჭორ უხნაძესთან.

ძირმაგარა.

ველისციხე (კახეთი). ჩვენი სოფლის, ფართე და უტალახო ქუჩაზე, გაჩქარებული მივადიჯებდი. ერთმა გლენმა, მდაბლად თავი დამიკრა და ხელში ქაღალდის ნაგლეჯი მომაჩეჩა. „ქაღალდი“ უცხო ენაზე იყო აქრელებული, და რადგან უცხო ენასთან მწყრალოთა ვარ, ვერა გავიგე რა. მხოლოდ „ქაღალდით“

დავინტერესდი მაშინ როდესაც, მის ბოლოს რუსულ წარწერას მოკვარი თვალი—წავიკითხე: „პლიუს ზა ვი-ზიტ 1 რუბლ. დოკ. ვანხაძე“. მაშინ კი მივხდი რომ, ხელში ადგილობრივ ექიმის დაწერილი რეცეპტი მექია. გლენმა, ყოველივე მიაშხო თუ, როგორ მიამსგავსა ჩემი „გალუსტიკი“ და „ცილინდრი“ „აფთრაქის“ პატრონისას. „ქაღალდი“ პატრონს დავუბრუნე და ნამდვილ აფთეკაში გავისტუმრე. მე კი მომეწონა აქაურ „დობტურის“ ჭკუა-მახვილობა — რეცეპტის საშუალებით, ვიზიტის ფულის. განაღდებამე.

მაშინდელი.

ჩიბათი (გურია).

ერმალომ უთხრა მახარბელს:

„სოფელი არის დუმაო, შემწვარი გემრიელია, უწვავიც კი იქუმაო!“

ნულარც დავზოგავთ თუ ვარგხარ, დროებით არის ჩვენიო;

აბა ვინ გეტყვის მადლობას

თუ ვინ კარგიც რამ ქენიო?!

ოლონდა მივცეთ ერთმანეთს

გაქვირებაში მხარიო:

ვინ იცის ვინმემ რომ ის ქნას...

ადგეს და მოგვდვას შარიაო.“

მახარბელმა სთქვა პასუხათ:

„თანახმა გენაცვალეო,

სწორეთ მიხვდარხარ რაც მსურდა

და დიდათ დმაავალეო.“

ასე მოვიქცეთ უთუოთ,

აზრია მოსაწონიო,

შენ თუ ცოტა ხერხს მასწავლი—

გავვისქელდება ქონიო.

„სტარშინებთან ხარ ნაჩვევი,

იცი სხვა და სხვა ხრიკიო,

იმათთან გამოგიცლია

ასი ურემი ტიკიო“...

სთქვეს და ნათქვამი კიდევაც

შეასრულეს როგორც სურდათ,

მაგრამ ხალხმა რომ გაიციხა,

მაშინ შუბლი გაუხურდათ.

მეზობელი.

2 158 / 2
1914

საქმ.




ი. ევლოშვილის სიმღერა წინაღ და დღეს:

მეგობრებო! წინ-წინ გასწით
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული.

წინ-წინ, მედგრად შევებრძოლოთ
ჩარბ-უკუღმართ ამ ჩვენს დროსა,
ქირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა,

დეე ჩვენ ტოლთ, უგვანო შვილთ
კერპის წინა ჰხარონ ქედი, —
ფუ იმ ვაჟკაცს, ვინც ინატროს
მათი სვე და მათი ბედი.....



მეგობრებო! წინ-წინ ყანწით
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე გვწყალობდეს ბედში მყოფი,
რას დაგვაკლებს დაჩაგრული.

წინ, წინ — მედგრად შევებრძოლოთ
მუშა ხალხს და მათ დამცველებს,
ძირს მშვიერი კუქის მქონე,
გულწაღვრულ მამლარს ჩვენებს.

დეე სხვებმა, უმედურებმა,
მძღაფრს არ მოუხარონ ქედი,
ფუ იმ ვაჟკაცს, ვინც შეიტკბოს
დაჩაგრულთა სვე და ბედი.
მათრაზოსანი.